პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივნისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 118 (10 087) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვახტანგ იაგორაშვილი ევროპის ჩემპიონია

უმეო. შვეციის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის პირადი ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ხუთივე სახეობაში ერთ დღეს ჩატარდა.

იაგორაშვილს სროლაში 1090 ქულა ჰქონდა, ფარიკაობაში — 918, ცურვაში — 1380, კროსში — 937, საცხენოსნო კონკურში — 860, საბოლოო ჯამში კი მან 5185 ქულა დააგროვა და უახლოეს მეტოქეს, ოლიმპიურ ჩემპიონს გუნდურ ჩათვლაში ლასლო ფაბიანს (უნგრეთი) 21 ქულით გაუსწრო (შესაბამისად 1000, 877, 1340, 907 და 1040 ქულა). ბრინჯაოს ჯილდო ხვდა შვედ პერ ნიუკვისტს — 5068 ქულა (1180, 672, 1212, 994, 1010).

ვახტანგ იაგორაშვილი

ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში საქმისწარმოება — მხოლოდ მშობლიურ ენაზე

ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო ბრძანება გამოსცა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა.

ბრძანების საფუძველი გახდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 ნოემბრის №542 დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროებში, უწყებებში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ქართულ ენაზე საქმისწარმოების საყოველთაოდ დანერგვის შესახებ."

სპორტსახკომის ბრძანებით საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, სპორტსაზოგადოებების „დინამოს" და „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ საბჭოებს და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, ყველა სახის სპორტულ სკოლებს, სპორტსახკომის სამმართველოებსა და განყოფილებებს წინადადება მიეცათ გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებები გაატარონ საქმისწარმოების ქართულ ენაზე საყოველთაოდ დასანერგად.

ამიერიდან, როგორც ეს ნათქვამია ბრძანებაში, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, დებულებები, ხარჯთაღრიცხვები, ჩატარებული ღონისძიებების წერილობითი ანგარიშები, საბუღალტრო ანგარიშწორება შედგება მხოლოდ ქართულ ენაზე. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებულ ყველა რანგის სპორტულ შეჯიბრებებზე სავალდებულოა მაყურებლებისთვის ინფორმაციის ქართულ ენაზე მიწოდება. სპორტულ ბაზებზე გამოიკვრება და დაიდგმება ქართულენოვანი ლოზუნგები და სარეკლამო ფარები.

სპორტსახკომის სპორტუზრუნველყოფის სამმართველოს დაევალა 1989 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს სპორტსახკომის სამმართველოებისა და განყოფილებების ქართული საბეჭდი მანქანებით მომარაგება (ძირითადად არსებული არაქართული მანქანების შრიფტის შეცვლით).

სპორტსახკომის კანცელარიას დაევალა მკაცრი კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სპორტსახკომიდან წერილებისა და სხვა ოფიციალური მასალების ქართულ ენაზე გაგზავნის აუცილებლობაზე.

ერთი თვის ვადაში გადაწყდება ქართულ ენაზე მბეჭდავი-მემანქანეების შერჩევა-დასაქმების საკითხი.

ქართულენოვანი შრიფტით შეიცვლება ტიპობრივი არაქართულენოვანი ბლანკები.

კონტროლი საქართველოს სპორტსახკომის ამ ბრძანების შესრულებაზე თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დაევალა.

მთავარი კომისია მუშაობს

ადრე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში.

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ მთავარი კომისია მუშაობს თბილისში, ძველი სტუდქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სტადიონზე, ყოველდღიურად 18-დან 19 საათამდე, გარდა კვირისა.

მთავარი კომისია განიხილავს ნორმატივების ჩაბარების დროს წამოჭრილ ყველა სადაო საკითხს.

გუშინ თბილისში დამთავრდა საქართველოს პირველობა ფრენბურთში 1975-76 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში გაიმარჯვეს თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სპეციალიზებული სკოლის წარმომადგენლებმა. სურათზე, რომელიც ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, გორელ თანატოლებთან თბილისელი გოგონების ფინალური შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.



●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●●

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

თანამედროვე ხუთჭიდში — ვიაჩესლავ მალიშევს (თბილისი, პროფკავშირები), ალექსეი ზელოუსოვს, დიმიტრი გორდიენკოს, იგორ დავიდოვს (სამივე — თბილისი, „დინამო").

ჩოგბურთში — თეა მუჩაიძეს (თბილისი, სახალხო განათლება).

ათლეტიზმში — ზურაბ ჭავჭანიძეს, რობერტ არაქელოვს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები).

რაგბიში — ნუგზარ მგელაძეს, გიორგი ღვინიაშვილს, ზაზა ბაკურაძეს, ალექსანდრე ხვედელიძეს, ნურბი ხუადეს (ყველანი — თბილისი, პროფკავშირები), ალექსანდრე ისაკაძეს, გიორგი ბაბუნაშვილს (ორივე — ქუთაისი, პროფკავშირები).

იაპონიაში გაისმის ქართული საჭიდაოს ჰანგები

ადგილობრივი. სპორტული ორგანიზაციების მოწვევით იაპონიაში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს სტუდენტ-მოჭიდავეთა პროფკავშირული ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კობა კურტანიძე, არსენ აზალაძე, ენგურ გოგიჩაშვილი, ვეფხია ავალიანი, ბადრი ბასილაშვილი, ვალერი პარუნაშვილი, ლერი ქორქოლიანი, თემურ ხუბულური, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, ბორის გოგიჩაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ალბერტ კუხიანიძე — საქართველოს პროფკავშირების წარმომადგენელი და ომზარ შოშიტაშვილი — დელეგაციის ხელმძღვანელი. დაგვეთანხმებით ალბათ, ცოტა უცნაური ჯგუფია წარსულში გამოჩენილ, ამჟამად მოქმედ სპორტსმენთა და მწვრთნელთაგან შემდგარი. მაგრამ ამ საინტერესო მოგზაურობაში ფუნქციები თანაბრად იყო განაწილებული და ყველა თავის მოვალეობას ასრულებდა. ვიზიტის შესახებ ამომწურავად გვესაუბრა დელეგაციის ხელმძღვანელი **ომზარ შოშიტაშვილი.**

● **რას ისახავდა მიზნად თქვენი გამგზავრება იაპონიაში?**

— ეს მოწვევა ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ მივიღეთ. ადრე იაპონიაში ამგვარი მისიით ჩადიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრები, მაგრამ იაპონელებმა წლეულს, გარკვეული მოსაზრებებით, არჩევანი შეცვალეს, რისთვისაც ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

● **თქვენის აზრით რატომ იჩენენ ქართველი ძიუდოისტების მიმართ ასეთ ინტერესს იაპონიაში?**

— პირველ ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ იაპონელები პრაქტიკული ხალხია, ყველა გადაწყვეტილება, ყოველი ნაბიჯი აწონდაწონილი და ჟაანგარიშებული აქვთ... ასე რომ, ჩვენი სტუმრობისგან ისინი კონკრეტულ შედეგებს ელოდნენ.

● **საიდუმლო თუ არ არის რაში გამოიხატებოდა იგი?**

— ამ შეკითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხი რომ გაგცეთ მოკლედ მაინც უნდა გავაანალიზო ძიუდოს მდგომარეობა მის სამშობლოში. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს იაპონელ ძიუდოისტთა აქციები მსოფლიოს სარბიელზე საგრძნობლად დაეცა, ეს განსაკუთრებით თვალნათლივ დაგვანახა სეულის ოლიმპიურმა თამაშებმა, რომელშიც ძიუდოს ფუძემდებლები მხოლოდ ერთ უმაღლეს ჯილდოს დასჯერდნენ (მძიმე წონაში ხიტოსი საიტო). შექმნილი მდგომარეობა მათ სერიოზულად აფიქრებთ და დაჟინებით ეძებენ გამოსავალს.

● **კი მაგრამ ქართველი ძიუდოისტები აქ რა შუაში არიან?**

— ზემოთ მოგახსენეთ, რომ იაპონელები პრაქტიკული ხალხიამეთქი. პრაქტიკულმა ალღომ ისინი დიდი ხანია დააფიქრა ქართული ჭიდაობის მნიშვნელობაზე, მის შესაძლებლობებზე. იაპონელებმა იციან, რომ საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე ძირი ქართულ ჭიდაობაში აქვს. ამიტომაც სერიოზულად გადაწყვიტეს მისი შესწავლა. ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობას მართლაც ბევრი რამ აქვს საერთო.

● **რამდენად სერიოზულია მათი ინტერესი?**

იხ. მე-4 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 2:0. (მასალა იხ. მე-8 გვერდზე).
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დეპეშა ნომერში

გულწრფელად ვულოცავ ჩემს ქართველ ძმებს, თბილისის დინამოელებს დამსახურებულ გამარჯვებას ქვეყნის ჩემპიონთან, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან". ვსარგებლობ შემთხვევით და ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებ დაზარალებულ ოჯახებს, აგრეთვე მთელ ქართველ ხალხს თბილისში 9 აპრილის ტრაგედიის გამო.

ბრიზოლ პოლოხიანი,
აფხაზეთის სპორტსახკომის ფეხბურთის ინსტრუქტორი.

მუშათა სპორტის რჩეულნი

მხოლოდ ფაქტები

სნფსს
პროფკავშირების
I
რესპუბლიკური
მუშათა
სპარტაკიადა
89

- ფინალურ ასპარეზობაში გამოდიოდა საქართველოს 22 ქალაქისა და რაიონის საუკეთესო გუნდი. სულ 240 მონაწილე.
- შრომითი ბრიგადები ასპარეზობდნენ სპორტის 8 სახეობაში.
- ოჯახების გუნდები მონაწილეობდნენ სპორტის 5 სახეობაში.
- საქართველოს სპორტსახკომში და რესპუბლიკის პროფსაბჭოში შეხვედრა მოუწყეს ფინალური ასპარეზობის მონაწილეებს, აქ მათ გადასცეს საპატიო სიგელები.
- სპარტაკიადა ოფიციალურად დაიხურა თბილისის „დინამოს" სტადიონზე 19 ივნისს, „დინამოსა" და „დნეპრის" საფეხბურთო მატჩის ტაიმებს შორის შესვენებისას.

სპარტაკიადის საპატიო სტუმარი, ოლიმპიური ჩემპიონი ლიდია სკობლიკოვა აჯილდოებს გამარჯვებულებს; ასპარეზობის ფრაგმენტები.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

გამარჯვებულნი

სამრეწველო ბრიგადებს შორის:

1. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო გაერთიანება „ავიამშენებელი" (ბრიგადირი — რომან შონია);

2. რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ბრიგადა (ავთანდილ ჯოჯუა);

3. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბრიგადა (ზურაბ ბოჭორიშვილი).

სასოფლო-სამეურნეო ბრიგადებს შორის:

1. ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოს კოლმეურნეობის ბრიგადა (ბრიგადირი — დავით კუპრავიშვილი);

2. ქიათურის ზონის სოფელ ქვაციხის კოლმეურნეობის ბრიგადა (ავთანდილ ბიწაძე);

3. ზუგდიდის რაიონის სოფელ ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადა (გიორგი თოდუა).

სამრეწველო საწარმოთა ოჯახებს შორის:

1. ალექსანდრე ბოისას ოჯახი (რუსთავი);

2. ამირან კაპანაძის ოჯახი (ჭიათურა);

3. ელდარ თავბერიძის ოჯახი (ზესტაფონი).

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ოჯახებს შორის:

1. გივი პაპუაშვილის ოჯახი (წითელი წყარო);

2. ამირან შენგელიას ოჯახი (სამტრედია, სოფ. ღანირი);

3. დავით აგახანოვის ოჯახი (ზუგდიდი, სოფ. რუხი).

შეფასებები

დალი ბენაშვილი (წითელი წყარო): შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, არ ვემდურით მსაჯობას. მონაწილეებს არც სპორტული და არც საშეფო ორგანიზაციების ყურადღება გვაკლდა.

ამირან აბესაძე (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე): ფინალური შეჯიბრება ნამდვილ ზეიმად იქცა. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა და დაგვეხმარა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებაში. დიდი და ლამაზი ფესტივალი — საკავშირო ასპარეზობის ფინალი მოსკოვში ჩატარდება 3-12 აგვისტოს. იქ საქართველოდან 4 სპორტული დელეგაცია ჩავა. ცალცალკე გამოვლენ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ოლქი.

შენიშვნები

ავთანდილ გურეშიძე (წყალტუბო): შეჯიბრების სახეობები ბევრი იყო, დღეები — ცოტა. 8 სახეობაში სამ დღეში ასპარეზობა იოლი საქმე არ არის მოყვარული სპორტსმენებისთვის.

დალი ბენაშვილი (წითელი წყარო): მომავალში კარგი იქნება თუ ასპარეზობის მსვლელობისას ცხრილს გამოაკრავენ, შეჯიბრების მონაწილეებმა უნდა ვიცოდეთ როგორც საკუთარი, ისე მეტოქის შედეგები.

**მასალები მოამზადა
ნათია ლაზიშვილმა.**

კონკურენცია დიდი იყო...

პნევმატური შაშხანა ალბათ ყველა ჩვენთაგანს უსვრია, ზოგს ტირში, ზოგს — სამხედრო გაკვეთილებზე და ა. შ. ასე რომ, მასობრივი შეჯიბრების მოწყობა ამ სახეობაში ძნელი არ უნდა იყოს.

გასულ შაბათს მუშათა სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში ერთ-ერთი პირველები სწორედ პნევმატური შაშხანის მსროლელები ჩაებნენ. სპორტკლუბ „სინათლის" ტირში ვიხილეთ ოჯახური გუნდები როგორც სამრეწველო-საწარმოთა, ასევე სოფლის კოლექტივებიდან. მათ ორ-ორი მონაწილე გამოჰყავდათ, რომლებსაც ხუთ-ხუთჯერ უნდა ესროლათ ათი მეტრი მანძილიდან.

თავდაპირველად „ცეცხლის ხაზზე" სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები დადგნენ — სულ თორმეტი წყვილი. ყველაზე უკეთ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოსამზადებელი საამქროს ოსტატის გივი ერმალენკოს ოჯახმა ისპარეზა, რომელმაც 73 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე ზუგდიდის რაიონის ონარიის ჩაის ფაბრიკის მუშის ვალიკო გაბულდანის ოჯახი გავიდა, მესამეზე — გორის საწარმოო გაერთიანება „დილას" ფიზკულტურის მეთოდისტის ელდარ პავლიაშვილის „გუნდი".

სოფლებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა გუნდების შეჯიბრებაში 71 ქულით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის საკვებ არომატ-კომპლექსის საწარმოო გაერთიანების თანამშრომლის დავით ცირუაშვილის ოჯახურმა გუნდმა, მეორე ადგილზეა სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საბჭოთა მეურნეობის მუშის ამირან შენგელიას ჯალაბი — 67 ქულა, მესამე ადგილი კი ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტის დავით აგასანოვის ოჯახმა დაისაკუთრა — 64 ქულა.

როგორც შედეგებიდან ჩანს, მონაწილეთა შორის კონკურენცია დიდი იყო, მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე რაიონმა გუნდი არ გამოიყვანა. ეს იქნებ გასაგებიცაა, სპარტაკიადა, ასე თუ ისე, პირველი გახლდათ და იმედია, მომავლისათვის გუნდები უფრო მომზადებული ჩაებმებიან ასპარეზობაში და მონაწილეებსაც მეტს ვიხილავთ.

გია ბურდული.



* * *

ენთუზიასტის ხელი

რომელ ჭაბუკს არ უოცნებია რინგზე გამარჯვება, ჩემპიონადაც წარმოუდგენია თავი. მაგრამ ცხადში ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ნამდვილი მოკრივე რომ გახდე, ამისათვის ძალზე დიდი შრომა და ნებისყოფაა საჭირო. სრულყოფის მისაღწევად კი განსაკუთრებული მნიშვნელობა მწვრთნელს ენიჭება. სწორედ მასზეა დამოკიდებული სპორტსმენის მომავალი. ამ მხრივ ხობის სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს ნამდვილად გაუმართლათ: სულ 6 თვეა, რაც კრივის განყოფილება გაიხსნა ამ სასწავლებელში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ტარიელ ვერულაშვილი. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მოსწავლეებმა საკავშირო ტურნირებსა და რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ამას წინათ უკრაინის ქალაქ ილიჩოვსკში ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა საკავშირო ტურნირი გაზეთ „ჩერნომორსკაია სმენას" პრიზზე, სადაც მონაწილეობდა უკრაინის, რსფსრ-ის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოს, სულ 18 ქალაქის 150-ზე მეტი ჭაბუკი მოკრივე. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ტურნირზე სწორედ ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის გუნდი იცავდა. ახალბედებმა ტოლი არ დაუდეს გამოცდილ მეტოქეებს და წარმატებას მიაღწიეს.

უფროს ასაკში (1973-1974 წ-ში დაბადებულნი) ექვსმა სპორტსმენმა: ბ. მანჯავიძემ (38 კგ), ი. აბსარიძემ (44), ე. ეჯიბიამ (48), გ. რუსიამ (50), ფ. ჩიქობავამ (57), გ. ადამიამ (63) პირველი ადგილები დაიკავეს. კ. ვახანია (38), ზ. ზუევი (48), ვ. ჭითანავა (50), კ. გაბისონია (52), ლ. ჯავახია (57), ზ. ხურცილავა (66) კი მეორე საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ.

მათ უმცროსებიც არ ჩამორჩნენ და ოთხმა მათგანმა — გ. ამსიეშვილმა (36), დ. თულაძემ (42), ს. ბაირამიდიმ (44), ი. ხარბედიამ (54) პირველობა არავის დაუთმეს.

მიზნის მისაღწევად, თურმე, სულ არ ყოფილა საჭირო წლები. მთავარია, იყო შენი საქმის კარგი მცოდნე, მისი სიყვარული გქონდეს და მას მოახმარო მთელი შენი შესაძლებლობანი.

კრივის განვითარებისათვის ხობის სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში ყველა პირობაა შექმნილი. იმედია შედეგიც სასურველი იქნება და ტარიელ ვერულაშვილი და მისი აღსაზრდელები კიდევ ბევრჯერ გაახარებენ გულშემატკივრებს გამარჯვებებით.

**ქუქური ნაცვლიშვილი,
ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის დირექტორი.**

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ხელბურთელებმა დასკვნით შეხვედრაში ანგარიშით 35:17 დაამარცხეს შეჯიბრების მასპინძელი — თელავის გუნდი და პირველობა მოიპოვეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში „სწრაფი ბურთის" კლუბის პრიზზე. მესამე ადგილზე არიან წყალტუბოელი მოსწავლეები, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში (21:20) სძლიეს სამტრედიელებს.

სურათზე: „სწრაფი ბურთის" რესპუბლიკური პრიზის მფლობელი თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდი.

გ. ამირხანოვის ტექსტი და ფოტო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:0 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 19 ივნისი.

„დინამო“: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (აფციაური, 75), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (ყიზილაშვილი, 46), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

„დნეპრი“: კრაკოვსკი, იუდინი, კულიში, სიდელნიკოვი, იაროვენკო, კუდრიცკი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, ლიუტი, სონი, შახოვი (მოსკვინი, 67).

მსაჯი ა. ლუნინი (მოსკოვი).

შესაძლოა, ჩვენ ჯერ კიდევ საკავშირო თასის იმ ნახევარფინალური მატჩის ტყვეობაში ვიმყოფებოდით, როცა დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა თბილისში დაამარცხეს დინამოელები და ფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს. ის იყო უკიდურესად დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა, რომელმაც „დნეპრს“ გამარჯვება მოუტანა და ჩვენს გუნდს არ მისცა საშუალება კიდევ ერთხელ გასულიყო საპატიო პრიზისთვის ბრძოლის ფინალში. მარცხი ფრიად დასანანი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრ დროს არ გაუვლია, თბილისის დინამოელები ამჯერად ჩემპიონატის ერთ-ერთ ურთულეს მატჩში კვლავ შეხვდნენ ძლიერ მეტოქეს და, ისევე როგორც მაშინ, გამარჯვება ახლაც მეტად საჭირო იყო. ჩემპიონატის ამ ეტაპზე კატეგორიულად საჭიროა ქულები და სატურნირო ცხრილში მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. ალტერნატივა არ არსებობდა — საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზებით ბრძოლა გუნდთან, რომელიც ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია და მყარად იმყოფება გათამაშების ლიდერთა შორის.

დაიწყო მატჩი და თავიდანვე თვალსაჩინო შეიქნა სტუმართა მაღალი კლასი, საუკეთესო ფიზიკური მომზადება, ტაქტიკური თამაშის სიმწვავე. „დნეპრი“ შეტევას იწყებდა გაძლიერებული ძალებით, მოულოდნელი კომბინაციებით, მისი შემტევი რგოლის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ლიუტი, სონი, შახოვი, მათ მხარდაჭერა არ აკლდათ ნახევარმცველებისგან. სამივე ფორვარდი ათლეტურად მძლავრი და მაღალტექნიკურია, ისინი განუწყვეტლივ იცვლიან ადგილებს და ხშირი მანევრებით დეზორგანიზაცია შეაქვთ მეტოქის რიგებში. რაც შეეხება დაცვას, სტუმრების ამ რგოლის თითოეულმა მოთამაშემ კარგად იცის თავისი საქმე და იშვიათად თუ აძლევს მეტოქეს საშუალებას უშუალო კონტაქტი ჰქონდეს მეკარე კრაკოვსკისთან.

„დნეპრი“ კარგა ხანს ძალზე აქტიურად თამაშობდა, რამდენიმე კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ სწორედ ამ მძიმე, დამქანცველი ბრძოლისას გამოჩნდა დინამოელ ფეხბურთელთა მომზადების მაღალი დონე. თბილისელებმა თანდათან ააწყეს თამაში, შუა ტაიმში მთლიანად გაათანაბრეს მდგომარეობა, შესვენების წინ კი უკვე ხელსახებ უპირატესობასაც მიაღწიეს. ამ პერიოდში თამაში უკვე ხშირად ერთვოდა მეკარე კრაკოვსკიც და მცველებსაც მნიშვნელოვნად უჭირდათ მეტოქის იერიშების მოგერიება. პირველი ტაიმის დასასრულს აღებული ეს მაღალი ტემპი და უპირატესობა დინამოელებმა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს. გადიოდა დრო და მათი უპირატესობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, კარგად ჩაერთო თამაშში შემცვლელად გამოსული ყიზილაშვილი.

რაც შეეხება „დნეპრს“, მისმა თავდამსხმელებმა მნიშვნელოვნად მოუკლეს შეტევის სიმძაფრეს, თითქმის აღარ ჩანდნენ ლიუტი და სონი, შესაცვლელი შეიქნა გუნდის ერთ-ერთი ბომბარდირი შახოვი და, საერთოდ, დნეპროპეტროვსკელები მხოლოდ იშვიათი კონტრიერიშებით თუ კმაყოფილდებოდნენ.

მიმდინარეობდა 59-ე წუთი, როცა გოგიჩაიშვილმა და ყიზილაშვილმა ერთმანეთს შორის რამდენიმე გადაცემით გაითამაშეს ტემპიანი კომბინაცია, მის დასასრულს კრაკოვსკის პირისპირ გავიდა ყიზილაშვილი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

ამ გოლს ჯიშკარიანის სწრაფი გარღვევა მოჰყვა და კრაკოვსკის კარი მხოლოდ ძელმა იხსნა. მასპინძელთა იერიშები შეუსვენებლივ გრძელდებოდა, 84-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა და ყიზილაშვილმა კვლავ შეასრულეს თავიანთი სწრაფი „რეპეტე“, საბოლოოდ ბურთი საჯარიმო მოედანზე მიიღო კაჭარავამ და რთულ სიტუაციაში შეუცდომლად ითამაშა — 2:0.

ამ გოლმა საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი. დნეპროპეტროვსკელებს ცდა არ დაუკლიათ ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ ორი ბურთის სხვაობას ისინი რომ უკვე ვეღარ აანაზღაურებდნენ, ეს ცხადი იყო. პირიქით, მატჩის ბოლო წუთებზე დინამოელები კვლავ და კვლავ უტევდნენ.

ამ მეტად ძნელ შეხვედრაში თბილისის დინამოელებმა კარგი მომზადება, თამაშის მაღალი დონე და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს.

ბ. ქორქია.

• • •

გასვლით ტურში ვილნიუსის „ჟალგირისმა“ თავის მინდორზე ფრედ — 1:1 ითამაშა მოსკოვის „ტორპედოსთან“, ხოლო დონეცკის „შახტიორისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩში გამარჯვება მოიპოვეს დონეცკელმა ფეხბურთელებმა — 2:1.

XV ტურის ბოლო მატჩი გუშინ გაიმართა მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

მატჩის ეპიზოდი: „დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 21 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	10	4	1	28-7	24
„ტორპედო“ (მოსკოვი)	15	7	7	1	18-8	21
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	15	8	4	3	16-10	20
„დინამო“ (კიევი)	15	7	5	3	18-10	19
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	15	7	3	5	18-17	17
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	15	6	5	4	19-18	17
„დინამო“ (მოსკოვი)	15	5	5	5	22-16	15
„დინამო“ (მინსკი)	15	6	2	7	16-16	14
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	14	5	4	5	14-13	14
„არარატი“ (ერევანი)	15	5	3	7	13-21	13
„დინამო“ (თბილისი)	14	3	6	5	12-13	12
„შახტიორი“ (დონეცკი)	15	4	3	8	10-16	11
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	14	3	5	6	11-16	11
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	14	3	4	7	9-18	10
„პამირი“ (დუშანბე)	15	2	6	7	10-23	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	2	4	9	7-19	8

ზუგდიდის „დინამო“ — მერვედფინალში

გრძელდება საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ორი გუნდი — ზუგდიდის „დინამო“ და ვანის „სულორი“ მონაწილეობს. მათ მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები შინ გამართეს. დინამოელებმა სძლიეს კრასნოდარის ოლქის „დინამოს“ — 4:0, ხოლო „სულორმა“ დაამარცხა ოდესის „დინამო“ — 2:0. განმეორებით მეთექვსმეტედფინალში ზუგდიდელები სტუმრად დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით 1:2 და მერვედფინალში განაგრძობენ ბრძოლას. გათამაშებას გამოეთიშა ვანის „სულორი“, რომელმაც წააგო ოდესის „დინამოსთან“ — 3:0.

თბილისური ფინალი

რესპუბლიკის ექვსი უმაღლესი სასწავლებლის მინიფეხბურთელთა გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს პირველობას ფინალურ ასპარეზობაში. ამ საინტერესო ტურნირის დასკვნით შეხვედრაში, რომელსაც თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსი მასპინძლობდა, ერთმანეთს თბილისის სამედიცინო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ — 4:4 დამთავრდა. თერთმეტმეტრიანი დარტყმები უფრო ზუსტად შეასრულეს მომავალმა ზოოტექნიკოსებმა და გაიმარჯვეს — 8:7. ამ კოლექტივის წარმატებები ჩვენი გაზეთის მკითხველებს სხვა დროსაც ხშირად სმენიათ, სასიხარულოა, რომ მათ მინიფეხბურთელთა ასპარეზობაშიც თქვეს თავიანთი სიტყვა. გამარჯვებულ გუნდს მწვრთნელი ე. გუგუშვილი უდგას სათავეში.

მესამე ადგილი ამ საინტერესო ასპარეზობაში წილად ხვდა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის გუნდს, რომელმაც თერთმეტმეტრიანების სერიაში გორის ეკონომიკური ინსტიტუტის გუნდის დამარცხება შეძლო — 8:6.

* * *

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „არაგვი“ (დუშეთი) — „ივერია“ (ხაშური) 1:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 2:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:3, „სულორი“ (ვანი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „მზიური“ (გალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2, „დინამო“ (გაგრა) — „სიონი“ (ბოლნისი) 4:1.

სკოლის ისტორიის თავფურცელი

პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების დიდი შესაძლებლობების ქართული სპორტის სასარგებლოდ გამოყენების ჩინებული მაგალითი მოგვცა საქართველოს პროფსაბჭოს აგროსამრეწველო კომიტეტის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა (თავმჯდომარე რობერტ ურჯუმელაშვილი)

საკავშირო ტურნირში გამარჯვებული კასპის „განთიადის“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი.

ალექსანდრე გორელოვის ფოტო.

ნორჩ ფეხბურთელთა სპორტული სკოლა! აი, რა არის ზემოდასახელებული პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის ნობათი. სპორტსკოლა კასპის რაიონში გაიხსნა ამ ორი წლის წინათ. სკოლას შეფიც შეძლებული გამოუჩნდა — გაერთიანება „ცემენტი“, რომლის გენერალურ დირექტორს ნოდარ ვაშაძეს დიდი ხანია ვიცნობთ როგორც სპორტული მოძრაობის ხელშემწყობ პიროვნებას. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ხშირად გაიგონებთ, სპორტსკოლა სპორტული ბაზის გარეშე გახსნესო. ასეთი სკოლიდან, ცხადია, სასურველ შედეგს ვერავინ მიიღებს და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სახსრები განუკითხავად ნიავდება. კასპში ვიდრე საფეხბურთო სკოლას გახსნიდნენ, ყველაფერი წინდაწინ გაითვალისწინეს. 14 ჯგუფი (240 მოსწავლე) იმ სკოლებზე გაანაწილეს, სადაც სათამაშო მოედანიც იყო და მწვრთნელთა კადრიც. ასეთი სკოლებია სამთავისში, ოკამში, ქვემო ჭალაში. რაიონის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა სკოლის პერსპექტივა და ქალაქის ცენტრალური სტადიონი ოფიციალურად გადასცა მას. აქვე დავძენთ, რომ ძველი სტადიონის სანაცვლოდ კასპში მალე დაიწყება ახლის მშენებლობა (10 ათას მაყურებელზე). სტადიონს ექნება სპორტული დარბაზი, სასტუმრო და შესაბამისი დამხმარე სათავსოები.

სპორტსკოლაზე ზრუნვამ ნაყოფი გამოიღო. ამ რამდენიმე დღის წინ ნორჩი კასპელი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ უკრაინის ქალაქ ჟიტომირში გამართულ ბავშვთა (1977-78 წწ. დაბადებული) საკავშირო ტურნირში. ჩვენმა გუნდმა — კასპის „განთიადმა“ (მწვრთნელი ვლადიმერ მამულაშვილი) პირველ დღეს დიდი ანგარიშით 5:2 დაამარცხა ქალაქ როვნოს „ავანგარდი“, მეორე დღეს გამანადგურებელი ანგარიშით 8:1 სძლია ჟიტომირის „სპარტაკის“ მეორე გუნდს, მომდევნო ტურში 1:0 მოუგო ჟიტომირის პირველ გუნდს და ტურნირის ბოლო დღეს ფრედ — 1:1 — ითამაშა ხმელნიცკის „პოდოლიესთან“. ამრიგად, ნორჩმა კასპელმა ფეხბურთელებმა 7 ქულა მოაგროვეს და პირველობა გაინაღდეს. მეორე ადგილზეა ხმელნიცკის, მესამეზე — ჟიტომირის პირველი გუნდი.

კასპელთა კაპიტანი ზურაბ კოტეტიშვილი აღიარეს ტურნირის საუკეთესო მცველად, ხოლო თამაზ ისერგიშვილი შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა (5 ბურთი). ტურნირის ყველაზე უმცროსი მოთამაშის პრიზი კი 10 წლის მალხაზ ჯალალს გადაეცა.

„ლელოს“ კორ.

* * *

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბრაზილიელ ფეხბურთელთა მარცხი

დანიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით კოპენჰაგენში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი: მასში მონაწილეობდნენ დანიელი, შვედი და სტუმრად მიწვეული ბრაზილიელი ფეხბურთელები.

ბრაზილიელებმა პირველივე მატჩში მარცხი განიცადეს დანიის გუნდთან შეხვედრაში — 0:4. დანიელებმა მანამდე კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დაამარცხეს შვეციის გუნდი — 6:0.

ბრაზილიელებმა წააგეს შვეციის გუნდთანაც — 1:2.

● **მიუნხენის** „ბაიერნმა“ იყიდა ბრაზილიელი თავდამსხმელი ბებეტო, რომელიც შვედ ექსტრომს შეცვლის. თავის მხრივ ექსტრომი მომავალი წლიდან „ჰამბურგში“ ითამაშებს. ახლა „ბაიერნი“ მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიის „ასკოლიში“ მოთამაშე კიდევ ერთ ბრაზილიელთან — კასაგრანდეთან, რომელსაც 5 მილიარდ იტალიურ ლირად აფასებენ.

● **გენუის** „სამპდორიის“ მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა განაცხადა, რომ გუნდის ძირითადი შემადგენლობა არ შეიცვლება. ერთადერთი ახალი მოთამაშე შეირჩევა უცხოელთაგან. ამ ვაკანსიაზე პრეტენზიას აცხადებენ ბრაზილიელი დუნგა („ფიორენტინა“), იუგოსლავიელი კატანეცი („შტუტგარტი“) და ირლანდიელი ჰოუტონი („ლივერპული“). მათგან ბოშკოვი უპირატესობას 24 წლის ირლანდიელს ანიჭებს.

● **ბრაზილიელი** კარეკა კიდევ 4 სეზონს გაატარებს „ნაპოლიში“. ახლა იგი ავადაა და სეზონის ბოლომდე არ ითამაშებს. გუნდის დირექტორატი მოლაპარაკებას აწარმოებს არგენტინელ მწვრთნელ ბილარდოსთან გადმოსვლის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. თუ ბილარდო არ დათანხმდა ამ წინადადებას, ერთი წლით გაგრძელდება კონტრაქტი ახლანდელ მწვრთნელ ოტავიო ბიანკისთან.

(საქ. ინფ.)

იაპონიაში გაისმის ქართული საჭიდაოს ჰანგები

(დასასრული)

— მინდა შეგახსენოთ, რომ წლეულს ნოემბერში თბილისში ჩატარდება რესპუბლიკის აბსოლუტური ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში. იაპონია საზღვარგარეთის პირველი ქვეყანაა, რომელმაც ოფიციალური თანხმობა განაცხადა ამ ტურნირში მონაწილეობაზე. ახლა თავად განსაჯეთ რამდენად სერიოზულია მათი ინტერესი.

● **ამბობთ, რომ იაპონია საზღვარგარეთის პირველი ქვეყანაა, რომელსაც თბილისში ჩამოსვლის სურვილი გაუჩნდა. სხვა ქვეყნების მონაწილეობასაც ხომ არ ვარაუდობთ ნოემბერში?**

— იაპონელებმა, როგორც მოგახსენეთ, თავიანთი სურვილი უკვე ოფიციალურად დაგვიდასტურეს. სიტყვიერი თანხმობა აქვთ გამოთქმული სხვა ქვეყნებსაც, კერძოდ საფრანგეთს, ამერიკას, ესპანეთს... გარდა ამისა, საქართველოს ღია ჩემპიონატში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოჭიდავეთა მონაწილეობას ველით.

● **როგორი სისტემით აპირებთ ამ ტურნირის მოწყობას?**

— თავდაპირველად შეჯიბრება ჩატარდება ოთხ ზედა წონაში. გამარჯვებულები ერთმანეთს შეხვდებიან ჯერ ნახევარფინალში, შემდეგ კი ფინალში. რესპუბლიკის აბსოლუტური ფალავნობისთვის, ისევე როგორც წონებში გამარჯვებულ მოჭიდავეთათვის საკმაოდ სოლიდური ფულადი პრემიებია დანიშნული.

● **გამოდის, რომ თქვენ სერიოზული და მდიდარი სპონსორი გჭირდებათ. საერთაშორისო სარბიელზე სხვაგვარად გასვლა, ჩვენის აზრით, ძნელი საქმეა.**

— ასეთი სპონსორობა შულავერის მატყლის ფაბრიკამ იკისრა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. დარწმუნებული ვარ, რომ დახმარების ხელს გამოგვიწვდიან სხვა ორგანიზაციებიც. ქართული ჭიდაობის გატანა საერთაშორისო სარბიელზე, სხვა თუ არაფერი, ეროვნული ღირსების საქმე გახლავთ და ყველა ერთნაირად უნდა ვისწრაფოდეთ ამისთვის.

● **როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაუჭირდებათ უცხოელ სტუმრებს ნოემბრის ტურნირში ასე ექსპრომტად გამოსვლა?**

— რატომ ექსპრომტად? წინასწარი სამუშაო კარგა ხანია ჩავატარეთ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე დასტამბული ქართული ჭიდაობის წესები და განმარტებები ჩვენს მომავალ სტუმრებს უკვე ხელთა აქვთ. გარდა ამისა, ჩვენი მუდმივი სპონსორის დახმარებით შევკერეთ და დავარიგეთ ქართული საჭიდაო ჩოხები. ისინი აქვთ იაპონიის, საფრანგეთის, ამერიკის, ისრაელის, თურქეთის, ირანის, სოციალისტური ქვეყნების, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მოჭიდავეებს. იაპონელებმა შინ უკვე წამოიწყეს ამ ჩოხების მასობრივი წარმოება. სექტემბერში იაპონელთა თხოვნით ამ ქვეყანას ეწვევიან ქართული ჭიდაობის სპეციალისტები, რათა პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილობრივ მწვრთნელებსა და ათლეტებს. როგორც ხედავთ, უქმად დროს არც ჩვენ ვკარგავთ და არც ჩვენი მომავალი სტუმრები.

● **კონკრეტულად რა დახმარება გაუწიეთ იაპონელებს ტოკიოში ყოფნისას?**

— ტოკიოში კი არა, ქალაქ კაცურაში ყოფნის დროს — ასე უფრო სწორი იქნება. კაცურა ტოკიოდან 10 კილომეტრითაა დაშორებული. ამ ქალაქის უნივერსიტეტის სტუმრები ვიყავით. ვვარჯიშობდით სტუდენტთა ჩინებულ ბაზებზე, ერთობლივმა წვრთნამ ჩვენც დიდი სარგებლობა მოგვიტანა და მასპინძლებსაც. განსაკუთრებით მოგვეწონა გამძლეობაზე ვარჯიში. ქართულ ჭიდაობას ყოველდღე 30-40 წუთს ვუთმობდით.

● **ახალგაზრდებს თუ მოსწონთ ჩვენი ჭიდაობა?**

— რა თქმა უნდა, მოსწონთ და სერიოზულადაც ეუფლებიან მას. კაცურაში გვაჩვენეს ჩვენებურად ნახერხმოყრილი ორი საჭიდაო სარბიელი. ასეთი სარბიელი იაპონელებს თურმე გორსა და კასპში უნახავთ, ძალზე მოსწონებიათ და შინ დაბრუნებისთანავე რამდენიმე საჭიდაო სახელდახელოდ მოუწყვიათ. ახლა იქ წვრთნას გადის არა მარტო სტუდენტობა, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობაც.

● **მოსწავლე ახალგაზრდობა რაღა შუაშია?**

— იაპონელები ყველა სიახლეს საფუძვლიანად ნერგავენ. რახან ქართულ ჭიდაობას დაადგეს თვალი, გადაწყვიტეს კიდეც, რომ სპორტის ეს სახეობა ასევე ფუნდამენტურად დანერგონ. მათ უკვე შეიმუშავეს კონკრეტული მითითებები და რეკომენდაციები იმისთვის, რომ ქართული ჭიდაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამაში შეიტანონ. განა პარადოქსი არ არის, რომ ჩვენ ამისათვის ათობით წელია ვიბრძვით და ჯერჯერობით ვერაფერი მოვახერხეთ, იაპონელებმა კი უცბად, ოპერატიულად გადაწყვიტეს საკითხი?

● **როგორ გესახებათ პრაქტიკულად ქართული ჭიდაობის მომავალი უცხოეთის ქვეყნებში?**

— სხვა ქვეყნებისა რა მოგახსენოთ, თუმცა მჯერა, ისინიც თავს დაადგამენ საქმეს. აი, იაპონელები კი ქართული ჭიდაობის პროპაგანდას ფართო პროგრამით შეუდგნენ. უცხოეთის ქვეყნებში ასეთ პროპაგანდას, ჩვეულებრივად, ერთი ან რამდენიმე მეცენატი უდგას სათავეში. იაპონიაში ეს საქმე მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ფუძიმ იტვირთა. იგი, ჯერ ერთი, თავისი საქმის დიდებული მცოდნეა და მეორეც, ბიზნესის საქმეებში გათვითცნობიერებული ადამიანი. საერთოდ კი გეტყვით, რომ ნამდვილი მეცენატობა (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ყველა საქმეშია საჭირო. ასეთი ქომაგი ქართულ ჭიდაობასაც სჭირდება საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად.

◆ ◆ ◆

„დინამო" მაისურზე და „დინამო" გულში...

დღეს ჩვენი სტუმარია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სულიკო კოროშინაძე. გთავაზობთ მასთან ჩვენი კორესპონდენტის საუბარს:

● **ვინც ახლოს გიცნობთ, ყველას უკვირს, სპორტსმენი რომ არ გამოხვედით...**

— მეც მიკვირს, მაგრამ... „დინამოს" მაისური მაინც მაცვია. „დინამოს" სტადიონთან სულ ახლოს ვცხოვრობდი, დღე და ღამე იქ ვიყავი, ბევრი მეგობარი სპორტსმენიც მყავდა. ფეხბურთზე მამას დავყავდი. ბორის პაიჭაძე ჩემი ნამდვილი ღვთაება იყო. სულ იმას ვოცნებობდი, ნეტავ ერთხელ ხელი ჩამომართმევინა-მეთქი. თვალებანთებული ვუყურებდი ჯეჯელავას, დოროხოვს, ბერძენიშვილს, გაგუას. თავადაც ვვარჯიშობდი. ფეხბურთელი მაინც ვერ გამოვედი. ეს ფიქრი დღესაც მკლავს, წარმოიდგინეთ. გუშინდელივით მახსოვს 1946 წლის მატჩი თბილისში მოსკოვის „დინამოსთან" — მიხაილ იაკუშინის იმ სახელგანთქმულ გუნდთან, რომელმაც ტრიუმფით მოიარა ფეხბურთის სამშობლო — დიდი ბრიტანეთი. გახსოვთ, ცხადია, 3:2 რომ მოვიგეთ. პაიჭაძემ, ხომიჩმა, სანაიამ, ბესკოვმა, კარცევმა პირდაპირ გადამრიეს. იმ დღიდან თბილისში ფეხბურთი არ გამიცდენია. სხვათა შორის, მშვენიერი პატარა „მუზეუმი" მაქვს — პროგრამები, გაზეთები, ჟურნალები, ფოტოსურათები, ვიმპელები, სამკერდე ნიშნები. საფეხბურთო ყოველკვირეულ „ფუტბოლს" (ასე ერქვა თავიდან) გამოსვლის პირველი დღიდან — 1960 წლიდან — ვინახავ. გული მწყდება, რომ ასეთი გამოცემა საქართველოში არა გვაქვს. ეს ხომ შესანიშნავი საფეხბურთო მატიანე იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჯიხურში ერთი ნომერიც არ დარჩება გაუყიდავი, დაიტაცებენ, როგორც საერთოდ ყველაფერს ფეხბურთზე. ისიც მჯერა, რომ ადრე თუ გვიან მისი გამოსვლის საკითხი ჩვენშიც დადგება.

● **ტყავის ბურთის რამდენიმე ჭეშმარიტი დიდოსტატი დაასახელეთ. დღეს უკვე აღარ არიან ჩვენში ასეთი მოთამაშეები...**

— სამწუხარო ფაქტია. ძველად რომ ვუყურებდი ფეხბურთს, ვგრძნობდი, ნამდვილი პიროვნებები, უტყუარი რაინდები, ტალანტები თამაშობდნენ. ან, თუ გნებავთ, დღევანდელი ჩვენი ესტრადა ავიღოთ. სიმღერა აღარ არის, მელოდია გაქრა. ალბათ მართლაც უფრო ნიჭიერი ხალხი იყო ადრე. მომღერლებს თავი დავანებოთ, კომპოზიტორები გავიხსენოთ: ცაბაძე, ლაღიძე, კერესელიძე, თორაძე, მირიანაშვილი... არიან განა დღეს ასეთები? საერთოდ კი მეჩვენება, რომ აღარ არის საქმისადმი ძველებური სიყვარული, ენთუზიაზმი. ყველაფერს მერკანტილური დაღი ატყვია. ჩვენ ვეძებთ ტალანტებს! რა მოძებნა უნდა. თუ ნამდვილი ტალანტია, თვითონ მოვა, თვითონ გამოჩნდება.

● **რა ფეხბურთიც გვაქვს, ისეთი ქომაგები მომრავლდნენ...**



— გული მწყდება, რომ სტადიონზე დღეს ბევრი მხოლოდ იმიტომ დადის, იქნებ ლატარიით „ჟიგული" მოიგოს.

● **ვიცით, რომ დიღომში დინამოელ ვეტერანებთან ერთად დადიხართ სათამაშოდ.**

— ჩემი საყვარელი „დინამოს" გუნდის „ძირითადი წევრი" ვარ. ჩვენთან ერთად თამაშობენ გივი ჩოხელი, დავით ხუნდაძე, გურამ პეტრიაშვილი, ბოლო დროს საშა ჩივაძეც შემოგვემატა. ჩვენი საყვარელი გიორგი ანთაძე მეხუმრებოდა ხოლმე: ზურაბ სოტკილავას შემდეგ მომღერლებში ყველაზე დიდი ფეხბურთელი შენა ხარო.

● **არ გვაეჭვებს, რომ სპორტის სიყვარული თქვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც ჩაუნერგეთ.**

— შვილების სპორტსმენობისა რა მოგახსენოთ, აი შვილიშვილებს კი ნამდვილად მივაბარებ რომელიმე სექციაში. ჯერ პატარები არიან. დღეს ცხოვრება ხომ წარმოუდგენელია ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე. მაგრამ რა გამოდის — ზოგიერთი მშობელი სულ ცნობების ძებნაშია, რომ ბავშვი როგორმე აარიდოს ფიზკულტურას. ჩემთვის კი ყველაზე საყვარელი საგანი სწორედ ფიზკულტურა იყო. სკოლაში თუ სახლში, ეზოში ბევრს ვბურთაობდით, ვჭიდაობდით, ვხტუნაობდით, ვკოტრიალობდით. დღეს მსგავს სურათს იშვიათად ნახავთ და ამის საშუალება არც აქვთ მოზარდებს — ეზოები მანქანებითაა გამოტენილი.

● **დღევანდელ „დინამოზე" რას იტყვით?**

— კრიტიკული მდგომარეობაა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ გუნდი უსათუოდ აღორძინდება, ხომ ნახეთ, როგორ ითამაშა „სპარტაკთან" თასზე. მჯერა ყიფიანისა და ხურცილავასი — ფეხბურთის ამ ორი დიდი ფანატიკოსის. მოდით, მხოლოდ ხელს ნუ შევუშლით მათ. და საერთოდ მეტი სიყვარული გამოვიჩინოთ როგორც გუნდის, ისე სტადიონის და, საერთოდ ფეხბურთის მიმართ. რატომღაც უმრავლესობას ჰგონია, რომ ფეხბურთი ყველამ იცის. თუ ვინმეს მართლა გული შესტკივა ქართულ ფეხბურთზე, წავიდეს ქუთაისში, ბათუმში ან სოხუმში და იქ დაამტკიცოს საქმით თავისი „ამბიციების" საფუძვლიანობა. მანამდე კი... ეზოში ფეხბურთის ერთი დიდი ცხრილი გვაქვს, სადაც ყოველი ტურის შედეგები შეგვაქვს და გუნდების მდგომარეობას ვცვლით. ღმერთმა ქნას, ჩვენი „დინამოსათვის" სულ ორ-ორი ქულა დაგვეწეროს.

● **ალბათ, საჭიროა ესტრადის შესახებაც ვთქვათ. როგორ მოხვედით სცენაზე?**

— მოგეხსენებათ, მთელი საქართველო გადარეული იყო ძაგნიძისა და ჩხიკვაძის სიმღერებით. მათი ხელოვნებით მეც „მოვიწამლე" სამუდამოდ. შემიყვარდა საესტრადო სიმღერები. ჯერ უნივერსიტეტის სცენაზე ვცადე ძალა, მერე ფილარმონიაშიც გავბედე გამოსვლა. ვიმღერე გიორგი ცაბაძის „განა შენთვის გული არ მითხოვია", მერე ეთერ ჭელიძის „იას სინაზე მოსტაცე" და ზურაბ ხელაიას „ღამე და შენს სარკმელთან..." დანარჩენი კარგად მოგეხსენებათ, გამოვდიოდი გიორგი გაბესკირიას ორკესტრში, მერე კონსტანტინე პევზნერთან „რეროში". მიმღერია საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, კერძოდ, პარიზის სახელგანთქმულ „ოლიმპიაში".

● **და ბოლოს...**

— თუ შეიძლება, „ბოლოს" მე ვიტყვი: ამას წინათ თქვენი გაზეთის მეათიათასე ნომერი გამოვიდა. მოდით, იმდენ ხანს ვიცოცხლოთ... მეასიათასე ნომერსაც მოვესწროთ.

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე.**

ცოტაც არასპორტულ თემაზე

● **სასწრაფო** დახმარება ექიმების შინ სასწრაფო გამოძახებით მოსვლამდე — ასეთი სიახლე დაინერგა ავსტრიაში. ოფიციალურად ახალ სამედიცინო სამსახურს ჰქვია „რეანიმაცია ტელეფონით". სასწრაფო დახმარების მუშაკები გამოძახებაზე შეკვეთის მიღებისთანავე ითხოვენ დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა შეემთხვა ავადმყოფს და როგორ ვითარდება დაავადება. პრაქტიკა მოწმობს, რომ სასწრაფო დახმარების სამსახურიდან მიღებული გადაუდებელი რჩევით ბევრ ავადმყოფს შეუნარჩუნეს სიცოცხლე.

● **რამდენ** დღესასწაულს აღნიშნავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად? გამოანგარიშებულია — 7800-ს! ეს რიცხვი განსაკუთრებით იზრდება არაოფიციალური დღესასწაულების ხარჯზე. მაგალითად წელს გაჩნდა ახალი დღესასწაული — კომბოსტოს მწნილის დღე.

● **ოფიციალური** მონაცემებით აშშ-ის სენატის წევრთა მესამედი მილიონერია. მათ შორის არიან სენტარები ჯონ როკფელერი, ედვარდ კენედი, ჯონ დენფორტი, ტერბერტ კოლი... შარშანდელი მონაცემებით ამ პოსტის ხელფასით (წელიწადში სენატორის ხელფასი 89 500 დოლარია) არც ერთ მილიონერს არ უცხოვრია. ყველა მათგანს აქვს შემოსავლის სხვა წყარო. მაგალითად, სენატორი ალფონს დ'ამატო ყოველწლიურად 15 ათას დოლარს იღებს ადგილობრივი კოლეჯიდან, სადაც ის შეთავსებით მასწავლებლად მუშაობს.

● ● ●

მოზაიკა

მხოლოდ... 100?

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ პირველი დიდი ოფიციალური ავტორბოლა 95 წლის წინათ გაიმართა — პარიზი-ბორდოს გზაზე და მისი სიგრძე 1200 კმ გახლდათ. ამასთან რბოლის მონაწილეებს სულ ცოტა 100 კმ სისწრაფე უნდა ეჩვენებინათ საათში. გაიმარჯვა ფრანგმა ემილ ლევასერმა, რომელმაც 48:48 წუთში განვლო მანძილი.

ნუ იჩქარებთ

ახლა კანადის ქალაქ ტორონტოს ეს შენობა მთელი სპორტული სამყაროს ყურადღებას იპყრობს. იქ მიმდინარეობს შარშანდელი №1 სკანდალის პერიპეტიები — სპეციალური კომისია იკვლევს ბენ ჯონსონის საქმეს. ამ შავკანიანი სპორტსმენის მიერ სეულის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე რბენაში მოპოვებულ ოქროს მედალს დიდი სკანდალი მოჰყვა, რადგან გამარჯვებული დოპინგის მიღებაში ამხილეს. და აი, ახლა ჯონსონი, მისი მწვრთნელი ჩარლი ფრენსისი და ექიმი-ფარმაკოლოგი ჯემი ასტაფანი საჯაროდ აცხადებენ, რომ ჯონსონი გამონაკლისი როდია. სწორედ ამიტომაც იგი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ ცისფერი და ვარდისფერი აბების მიღებას.

სადოპინგო ბუმს წინ აღუდგა სოკ-ის სამედიცინო კომისიის წევრი კიოლნის ანტისადოპინგო ცენტრის ხელმძღვანელი მანფრედ დონიკე, რომელმაც განაცხადა, რომ სეულის ოლიმპიადის დოპინგ-ანალიზის შედეგად მძლეოსან ვაჟთა 80 პროცენტს მიღებული ჰქონდა აღმგზნები საშუალებები (ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა ორგანიზმში დოპინგის კვალი აღმოაჩინოს... 8 წლის შემდეგაც).

დონიკემ კომისიის წევრებს განუცხადა — „მოვიცადოთ აგვისტომდე, შევეცდები, რომ არ გაგაწბილოთ".

● ◆ ● ◆ ●

„სპორტპროგნოზი"

25-ე ტირაჟის პროგრამა.
(17-19 ივნისი)

1—1, 2—X, 3—1, 4—X, 5—X, 6—1, 7—X, 8—1, 9—1, 10—X, 11—1, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი 1989 წ. 25 ივნისს დღის 12 საათზე აბიტურიენტებისათვის აწყობს ღია კარის დღეს.
მისამართი: ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის პრ. 49.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი
ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07191